

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია კანონის სრულყოფა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია საჯარო დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება თავად განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით შესაძლებელი ხდება საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადახდილ იქნას საჯარო დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშწორებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის ამოქმედების შედეგად დამატებითი შემოსავლები არ ექნებათ ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

